ოქტომბრელი

№6

1936 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ოქტომბრელი“

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

№ 6

ივნისი 1936 წ.

წელიწადი მე-10

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. №-3-02-61

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ

1. მაქსიმ გორკი — **ირ. აბაშიძისა** 1
2. ნორჩი ლენინელი 5 წლისაა — **ვლ. თორდუასი** 3
3. უცნაური ვანო — **იროდიონ ევდოშვილისა** 4
4. იროდიონ ევდოშვილი — **ალ. სულავასი** 6
5. ევდოშვილი ბავშვებთან (ლექსი) — **გ. კაჭახიძისა** 8
6. მოგონება (ირ. ევდოშვილზე) — **ლ. გეგეჭკორისა** 9
7. ჩემი ბურთი (ლექსი) — **მიმქრალისა** 10
8. გაძევებული კოტი — **გაბრიელ გოგუაძისა** 11
9. მზია, ბუზი და წიწილა (ლექსი) — **ილია სიხარულიძისა** . . . 14
10. მოლაპარაკე ლითონის ადამიანი — **ალ. კოჩლავაშვილისა** . . . 15
11. სიხარულის თეატრი — **ვანო ბუხაიძისა** . . . გარეკანის მე-3 გვ.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

12. მონადირე და კაკაბი (არაკი) — **კლ. თევზაძისა**. . გარეკანის მე-4 გვ.
13. ვირთაგვები და ფისო — **იას. ნიკოლაიშვილისა**. . გარეკანის მე-4 გვ.
14. რებუსი შედგენილი **კლ. თევზაძის** მიერ . . . გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხ. **ი. ქოქიაშვილის, შ. ბერიტაშვილის** და **დ. ნაცვლიშვილის** მიერ.

პ/მგ. რედაქტორი ბაბო ჭაჭიაშვილი პ/მგ. მდივანი ლ. ჭიჭინაძე

მთ. №10306, ტირ. 16600, შეკვ. № 3903. ს.კ.პ. (ბ) ც.კ. გამ. ამხ. ს. თოდრიას სახ. „კომუნისტის“ სტ. ჯაშის ქ. 68.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი

ირაკლი აბაშიძე

კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზი მოსკოვის შუაგულია.

სწორედ ამ დარბაზში ამ ორიოდე წლის წინათ შეიყარეს თავი მწერლებმა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. სწორედ ამ დარბაზში მიმდინარეობდა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა.

მახსოვს, რა მოუთმენლად მოველოდი მაქსიმ გორკის გამოჩენას ყრილობის პრეზიდიუმში.

მას ყრილობაზე მთავარი მოხსენება ჰქონდა.

მახსოვს, რა დაუცხრომელმა ტაშმა იგრიალა მისი გამოჩენის დროს და დიდხანს, დიდხანს არ ჩამდგარა ეს ქარიშხლისებური ოვაცია. ამაოდ გვანიშნებდა ის ხელით დაწყნარებას. ჩვენი ტაში და შეძახილები დიდხანს არ აძლევდა მას საშუალებას, რომ მოხსენებას შესდგომოდა.

და, ბოლოს, როცა ჩვენ დავწყნარდით, გორკიმ დაბალი, დინჯი ხმით დაიწყო თავისი შესანიშნავი სიტყვა.

ტრიბუნა, რომელიც სხვა ორატორებს თითქმის მკერდამდის სწვდებოდა, მაქსიმ გორკის მხოლოდ წელამდის ფარავდა. გორკი საკმაოდ მაღალი კაცი იყო, გამხდარი და მხრებში ოდნავ მოხრილი. ლაპარაკობდა დინჯად და აუღელვებლად. ხანდახან ასწევდა თავს და მაშინ თითქოს შორეულ სივრცეში იცქირებოდა და ჰკრებდა აზრებს.

მოხუცებულიყო ძველი მოხეტიალე დაუდეგარი კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრება უცნაურად გაატარა. და მე წარმომიდგა თვალწინ — მაქსიმ გორკი ნავსადგურში მომუშავე უბრალო მტვირთავად, მაქსიმ გორკი მეპურე, მაქსიმ გორკი მღებავი, მოხეტიალე ქალაქიდან ქალაქში, ადგილიდან ადგილზე.

ამ ხეტიალმა გადმოაგდო იგი ტფილისში ამ ორმოცდახუთი წლის წინათ. სრულიად უცნობ ქალაქში მოხვდა გორკი, შავი ხლვის ნაპირებზე ხეტიალის შემდეგ. აქ ნაცნობიც არავინ ჰყავდა, მაგრამ იგი უკვე დიდიხანია შეეჩვია უცხო ადგილებში და უცნობ ხალხში ცხოვრებას.

აქ, ტფილისში, დაწერა მაქსიმ გორკიმ თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“ და ტფილისის გაზეთში დაბეჭდა პირველად იგი. მან მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, მაშინვე მიიქცია აგრეთვე მეფის ჟანდარმების ყურადღებაც და მას შემდეგ ხშირად, როცა მშრომელი ხალხი გატაცებით კითხულობდა მის მოთხრობებს, გორკი დიდი რუსეთის რომელიმე ციხეში იჯდა და ახალი ბრძოლისთვის კიდევ მეტ ღონეს იკრებდა თვითმპყრობელობის

გორკი თავის შვილიშვილთან.

წინააღმდეგ. გორკი მეფის მთავრობის დაუძინებელი მტერი შეიქნა, ამიტომ მუდამ სდევნიდნენ მას.

ტფილისიდან გორკი რუსეთის სხვა ქალაქებში მიემგზავრება და ახლა იგი უკვე სახელმოხვეჭილი მწერალია. მის შესანიშნავ მოთხრობებს აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი. ის წერს საზოგადოების დაბალ ფენებზე, გაჭირვებული ხალხის ცხოვრებაზე და თავისი მოთხრობებით გზას უჩვენებს ამ ხალხს დუხჭირ ცხოვრებიდან ამოსასვლელად. ამიტომ უყვარდა და უყვარს გორკი დაჩაგრულ ხალხს და ამიტომ სძულდათ და სძულთ გორკი მჩაგვრელებს.

გორკის სახელი არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ ქვეყნებს მოედო. მისი წიგნები ითარგმნა მრავალ ენაზე და მთელმა მშრომელებმა ნახეს, თუ როგორი გულშემატკივარი ჰყოლიათ მათ მაქსიმ გორკის სახით.

რატომ უყვარდა მაქსიმ გორკის მშრომელი ხალხი და რატომ უყვარდა იგი მშრომელ ხალხს?

იმიტომ, რომ იგი ხალხის წიაღში აღიზარდა, მათთან გაატარა მან თავისი გაჭირვებული ბავშობა და ახალგაზრდობა, თვითონ იყო მშრომელი ხალხის შვილი და უყვარდა თავისი მშობელი.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანში, რუსეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, იგი მოესწრო მშრომელი ხალხის გამარჯვებას, იმ ხალხის, რომლის კეთილდღეობისათვისაც იბრძოდა მთელი თავისი ღირსშესანიშნავი ცხოვრების მანძილზე.

დიდი მასწავლებელი მაქსიმ გორკი რევოლუციის შემდეგ უკვე სათავეში ჩაუდგა გამარჯვებული პროლეტარიატის მწერლობას და ზრდიდა ახალ ძალებს ახალი კულტურის აყვავებისათვის.

მახსოვს: იმ ყრილობაზე, რომლის შესახებაც ზემოთ ვლაპარაკობდი, პიონერების დელეგაცია შემოვიდა მწერლებისათვის მისასალმებლად. გორკი პრეზიდიუმში იჯდა. გამოვიდა ერთი პიონერი ტრიბუნაზე და გაბედულად, რიხით მოახსენა ყრილობას იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ისინი ატარებენ ბანაკად. მოჰყვა პიონერების ცხოვრების ამბავს და მოსთხოვა მწერლებს დაეწერათ ახალი, ბევრი ნაწარმოები პიონერთა ცხოვრების შესახებ. ბავშვი შესანიშნავად ლაპარაკობდა, და ჩვენ შევამჩნიეთ გორკის თვალებზე ცრემლები. ეს იყო ცრემლები უსაზღვრო სიხარულისა, იმ დიდი სიხარულისა, რომელსაც განიცდიდა იგი, როცა ხედავდა თავის ქვეყნის ჭკვიან, საქმიან ბავშვებს, გამარჯვებული მუშის შვილებს, რომელთაც უკვე გზა ხსნილი აქვთ ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

გორკის ძლიერ უყვარდა ბავშვები და ბავშვებსაც უყვარდათ გორკი, დიდი მასწავლებელი, დიდი დამრიგებელი, აღმზრდელი, უდიდესი მწერალი და მეგობარი.

გარდაიცვალა მაქსიმ გორკი, აღარა გვყავს იგი, მაგრამ მან დაგვიტოვა ჩვენ კარგი წიგნები, რომლითაც იგი არასოდეს არ მოკვდება.

გორკის ღვაწლი დიდია და ძვირფასი. ამიტომ იყო, რომ ასე დიდად აფასებდა მას ლენინი და ასე დიდად ზრუნავდა მასზე ჩვენი საყვარელი ბელადი იოსებ სტალინი.

ბავშვებო, ისწავლეთ გორკი, იკითხეთ მისი წიგნები ხშირად, იგი ძალიან შეგიწყობთ ხელს თქვენს ბედნიერ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნორჩი ლენინელი“ 5 წლისაა

ვლ. თორდუა

„მე ოთხი წლისა ვიყავ, როდესაც გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ გამოვიდა. მახსოვს, ჩემი უფროსი ძმა კითხულობდა, მე გულმოდგინედ ვუსმენდი; თუმცა კარგად არაფერი გამეგებოდა, გამოვტაცებდი და სურათებს ვათვალიერებდი, ვნატრობდი იმ დროს, როცა მეც ვისწავლიდი კითხვას“.

მოვიდა ეს დრო. განა მარტო კითხვა ისწავლა ლამარა ჩოჩიამ?! იგი „ნორჩი ლენინელის“ ბავშკორია, მან ლექსიც კი დაბეჭდა მეგობრობაზე; „ნორჩ ლენინელთან“ ერთად გაიზარდა იგი.

ახლა 9 წლისაა ლამარა, ოთხი წლითაა უფროსი თავის საყვარელ გაზეთზე.

„ნორჩ ლენინელთან“ ერთად რამდენი გაზრდილა და გაფურჩქვნილა ლამარას ტოლი — აი ისე, ვარდი რომ გაშლის და გაფურჩქნის თავის კოკორს.

დღეს ბევრი მათგანი ბავშკორია ამ გაზეთისა და თავის ნაფიქრს, ნახულსა და ნაგრძნობს ბეჭდავს, ყველა მათგანი იწერს და კითხულობს თავის გაზეთს.

დღეს ხარობენ ისინი, ორდენოსან საქართველოს ბედნიერი ბავშვები, ზეიმობენ თავიანთი გაზეთის არსებობის 5 წლის თავს.

1931 წელს გამოვიდა გაზეთის პირველი ნომერი. პიონერთა ორგანიზაცია რომ გაიზარდა, — მან მოითხოვა თავისი გაზეთი, თავისი ორგანო — თავისი ცხოვრების სარკე.

და აი, დადგა დრო.. რა სიხარული იყო მაშინ სტამბაში, როდესაც პირველი ნომრის პირველი გვერდები შეიკრა!

დაიბადა გაზეთი... გამოვიდა პირველი ნომერი „ნორჩი ლენინელისა“.

მაგრამ ხომ იცით, ბუნჩულა ბავშვი პირველად ფეხს რომ იდგამს, იგი ბორძიკობს, ფეხის მონაცვლება უჭირს.

ახალდაბადებული „ნორჩი ლენინელიც“ ასევე იყო.

შემდეგ გაიზარდა, დავაჟკაცდა და მუხლებში ძალა მიეცა.

ბავშვები სიხარულით ელოდნენ ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას, მაგრამ მისი პირველი წლების ტირაჟი ვერ აკმაყოფილებდა დიდ მოთხოვნილებას.

1931 წელს 2000 ცალი იბეჭდებოდა, დღეს კი, 5 წლის შემდეგ, 1936 წელს, 65.000 ცალი იბეჭდება.

ხომ დიდი ზრდაა? მარტო რიცხვით არ გაზრდილა ის. დღეს უფრო შინაარსიანი, მრავალფეროვანი და მიმზიდველია მისი ფურცლები.

5 წლისაა „ნორჩი ლენინელი“. 5 წელია იგი რესპუბლიკის მოყვავილე თაობის სამსახურში დგას.

ამიტომ უყვართ ის ბავშვებს და ზეიმით აღნიშნავენ მის იუბილეს 5 წლისთავზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ნორჩი ლენინელი

ალკკ ცენტრ. და ტფ. კომიტეტების ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაოდიონ ევდოშვილი

შვიდი წლის ვანოს ყველანი უცნაურს ეძახდნენ. უცნაური ბალღია, — ამბობდა მისი დედა.

— ჰოდე! — უდასტურებდა მამაც.

— მართლაც რო უცნაურია! — იმეორებდნენ მეზობლებიც. ამგვარად ვანოს დიდი და პატარა, ტოლი და სწორი ამ სახელს ეძახდა. ეს მართალიც იყო, მართლაცდა ვანო რაღაც უცნაურია.

დადგა თუ არა შემოდგომა, მას რაღაც მოწყენილობა დაეტყო. ან როგორ არ უნდა მოეწყინა, როდესაც მის გარშემო ყველაფერი შეიცვალა. კალოებზე აღარ ისმოდა ჰოროველა, მინდორს სიყვითლე შეეპარა, ტყეს ფოთოლი სცვიოდა. ვენახში დაობლებული ვაზი ტიროდა ყურძნის მტევნებს, რომელნიც მას შოაშორეს, ბაღში ვარდის ბუჩქს თავი ჩაქინდრა. ასე წარმოიდგინეთ, მაგარი ფოთლებიც კი ჭკნებოდნენ. ბოსტანიც ამგვარსავე ყოფაში იყო, მხოლოდ იქ ჯერ რამდენიმე კვალი ბოლოკი და სტაფილო ისევ მწვანედ გამოიყურებოდა. ხშირად იდგა ხოლმე ვანო რუს პირას, რომელიც მათ ვენახს შუა ჩამოუდიოდა, და უყურებდა ყველა ამას.

აი ეხლაც ის ზის ისევ იმავე ადგილას, სადაც გუშინ იჯდა. მეწისქვილე გიორგი თოხით რუს წმენდს, ის კი მისჩერებია შორს, შორს — კავკასიის მთებს, უყურებს არეულ ღრუბლებს. ისინი ხან რაღაც უცნაურს კოშკებს აშენებენ, ხან თითქოს ომი აქვთ ერთმანეთში: აირევიან, იხლართებიან და წუთის შემდეგ შორდებიან ერთმანეთს. ზოგი მთას იქით გადადის, ზოგი მთის ნაპრალებში წვება და ზოგიც მიიზლაზნება ქვევით, ბარისაკენ, დინჯ თეთრ აქლემებიან ქარავანივით.

— ბიძია, რა აბზავი აქვთ ღრუბლებს მთაზე, ან ასე რათ გაყვითლდა მინდორი, რათა სცვივა ხეს ფოთოლი? — შეეკითხა ვანო მეწისქვილეს.

— იმიტომ, რომ შემოდგომაა, შე სულელო!

— შემოდგომაა? — გააგრძელა ვანომ და ჩაფიქრდა.

— მერე, რათ მოვიდა შემოდგომა, რატომ ისევ ზაფხული არ არის?

— უცნაური ბალღია, უცნაური! — წაიბუტბუტა გიორგიმ და გაჰყვა რუს ქვევით.

— შემოდგომა.... შემოდგომა... — ფურჩულებს ვანო, ფიქრობს, ძაან ფიქრობს, მაგრამ მაინც ვერ აუხსნა თავის თავს, თუ რათ დადგა შემოდგომა და რატომ ისევ ზაფხული არ არის.

ფრინველები? ფრინველები ხომ ერთიანად მიიმალნენ! აღარ ისმოდა მოლაღურის ხმა, აღარ უსტვენდა ბულბული! აღარსად ჩანდა ტოროლა, გუგული, ოფოფი, მერცხალი, მწყერი, გვრიტი.... რა იქნენ, სად წავიდნენ, ხეტა? — ფიქრობდა ვანო. მხოლოდ ხანდახან ყვავი თუ დაიჩხავლებდა სადმე, ან კაჭკაჭი შემოჯდებოდა მათი სახლის წინ კაკალზე და იქნევდა ბოლოს. ბეღურები კი ეხლა ბლომად შეიკრიბებოდნენ ხოლმე სანაგვეზე. მათ ნიკორა ხარსაც კი მოწყენილობა შეეტყო, ისე ზლაზვნით დადიოდა, თითქოს ეზარება სიარულიო. ერთი სიტყვით, ღვინობისთვიდან ყველაფერს ცვლილება დაეტყო. ბევრჯერ ჰკითხა ვანომ თავის დედას, მამას, მეზობლებს, თუ რათ დგება ზაფხულის შემდეგ შემოდგომა, მაგრამ პასუხად ისევ იმასეუბნებოდნენ, რაც მეწისქვილემ უთხრა: უცნაური ბავშვია, უცნაური, მართლაც, რომ უცნაურიაო.

მიიწურა ქრისტეშობისთვეც, მაგრამ ჯერ ისევ ქრისტეშობისთვის ნახევრიდანვე ყოველ დილას ვანო ხედავდა, რომ დედამიწას რაღაც პატარ-პატარა თოვლის ხორხოშელა ეყარა.

— რთვილი გაუგდია, — იტყოდა ხოლმე მისი მამა, როდესაც დილით ადრე გამოვიდოდა შეშის შემოსატანად. შუადღემდე ეს პაწია თოვლის ვარსკვლავები დნებოდა, მაგრამ რაც დღე გადიოდა, სიცივეს უფრო და უფრო ემატებოდა, და ქრისტეშობისთვის გასულს კი ისე აცივდა, რომ რუც კი იყინებოდა.

— მოვიდა ზამთარიც, საქონელმა ბეწვი აუშვა, — ბუტბუტებდა ვანოს ბებერი პაპა ბუხართან.

მართლაც და არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ერთ დილას ვანომ საუცხოვო სურათი დაინახა: მთელი ეზო თეთრად იყო შემოსილი, ხეებს თითქოს თეთრი ჩურჩხელები დაესხა; ბაღი, ვენახი, ბოსტანი, მინდორი, ტყე, მთა ამ ერთ ღამეს დაბერებულიყვნენ: თეთრი, სულ თეთრი ფერი ირგლივ.

— ესეც ზამთარი! — ჩაილაპარაკა ვანოს მამამ, აიღო ნიჩაბი და თოვლს წმენდა დაუწყო, რომ ბოსლისაკენ გზა გაეკეთებია.

— ზამთარი... ზამთარი... მა'მ ესა ყოფილა ზამთარი... თოვლი მოვიდა... — ფიქრობდა ვანო. ის ჯერ მამის გაკვლეულ გზას მისდევდა, მერე გადაუხვია, შიგ თოვლში გაჩერდა, მიაშტერდა კაჭკაჭს, რომელიც საქათმეზე დამჯდარიყო და დაღო-

ნებული გამოიყურებოდა. დედამ ვერც კი მოასწრო ქათმებისათვის საკენკი დაეყარა, რომ ბეღურებიც ღობიდან გადმოეშვნენ და მათთან ერთად დაუწყეს კენკვა საჭმელს.

— ყვა... ყვა .. ყვა.. — გადაისრიალა მაღლა ჰაერში ყვავმა.

— წრიპ... წრიპ... წრიპ.. — დაიწრიპინა ღობემძვრალამ.

— ჭიკ.. ჭიკ... ფრთხუ! — ჩაიფრთხიალა მაყვლებში შაშვმა.

ეს საცოდავი ფრინველები ვეღარ დამდგარიყვნენ თავის ბუდეში და ადამიანისაც აღარ ერიდებოდათ.

ულბნის ბიჭები თოვლაობას თამაშობდნენ, მაგრამ ჩვენი უცნაური ვანო ჯერ ისევ ზამთარსა სინჯავდა.

მთაზე ღრუბლები ირეოდნენ, ის გამოიყურებოდა ერთ დიდ თეთრ დევგმირივით. ცა რაღაც მკაცრად გამოიყურებოდა, სახლის ბუხრებიდან კომლი ადიოდა ჰაერში.

— ზამთარია! ზამთარი, ჩემო უცნაურო! — შეეხმაურა მამა ვანოს, როდესაც დაინახა, ის რომ ერთ ადგილს გაჩერებულიყო და რაღაცას ფიქრობდა.

— მერე, რათ მოვიდა ზამთარი? — შეეკითხა ფიქრებიდან გამორკვეული ვანო.

— უცნაური ხარ, შვილო, უცნაური, — მიუგო მამამ. მან სხვა ვერაფერი პასუხი ვერ მისცა შვილს და შეუდგა ისევ თოვლის აწმენდას.

— რათ დადგა ზამთარი შემოდგომის შემდეგ... რათ მოვიდა თოვლი... — ფიქრობდა ჩვენი უცნაური, მაგრამ ვერ მიიღო პასუხი თავის თავისთვის. ჩემო პატარა

მკითხველებო, ჩვენი უცნაური სოფლელი ბიჭია, უსწავლელი დედ-მამის შვილი, ან მეწისქვილე გიორგი რას აუხსნიდა ან მისი მეგობრები, რომელნიც ისევე უსწავლელნი იყვნენ, როგორც მისი დედ-მამა. მაშ თქვენ ჰკითხეთ თქვენს მასწავლებლებს რა არის შემოდგომა, რა არის ზამთარი, ისწავლეთ და ასწავლეთ უცნაურ ვანოსაც.

ირაოდიონ ევდოშვილი

ალ. სულავა

ოცი წელი შესრულდა, რაც გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი პოეტი ირაოდიონ ევდოშვილი. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო არა მარტო დიდებისათვის, არამედ პატარებისათვისაც.

ი. ევდოშვილი სემინარიელი

საკმარისია გადაათვალიეროთ მაშინდელი საბავშო ჟურნალები, რომ დარწმუნდეთ, თუ რა მწუხარება გამოიწვია ი. ევდოშვილის სიკვდილმა. ეს ადვილი გასაგებია, რადგან ი. ევდოშვილი თავისი სიცოცხლის ბოლო ხანებში ძალზე ბევრს წერდა ბავშვებისათვის.

ირ. ევდოშვილი თავისი შემოქმედების დასაწყისიდან განსაზღვრულ ვრცელ მანძილზე რევოლუციური პოეტი იყო. ის თითქმის პირველი იყო, ვინც უშიშრად და ხმამაღლა ალაპარაკდა თავისი ლექსებით მუშათა კლასის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ.

ირ. ევდოშვილი მშრომელებისათვის იმდენად ცნობილი და საყვარელი პოეტი გახდა, რომ მის ლექსებს მღეროდა ხალხი. ვის არ გაუგონია მისი ლექსები „ქარიშხალი“, „სიმღერა“, „მეგობრებო“! ამ ლექსებზე იზრდებოდნენ მთელი რიგი თაობები. ი. ევდოშვილის ეს ლექსები დაწერილია იმ დროს, როცა მუშათა კლასი უკვე იწყებდა რევოლუციურ ბრძოლას, როცა იგი

ირაზმებოდა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად თავისი უფლებისა და სიმართლის მოსაპოებლად.

რა ესაჭიროებოდა ასეთ დროს მუშათა კლასს? რასაკვირველია, გამხნევება, მოწოდება, შეუდრეკლობა, და ირ. ევდოშვილიც სწორედ აქეთკენ მოუწოდებდა მათ, როცა წერდა:

„მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული!“

ეს იყო შრომისა და ბრძოლის პოეზიის ნამდვილი გამოხატულება, რაც მოწინავეობას და გამბედაობას ნიშნავდა მაშინდელი დროისათვის, რადგან მეფის ინტერესების დამცველი ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა ასეთ აზრებს, ისევე როგორც მუშათა მოძრაობასაც, მაგრამ ი. ევდოშვილის დამსახურება და გამბედაობა იმაშია, რომ ის არა მარტო უთანასწორობას-უსამართლობას და ხალხის ტანჯვას გამოხატავდა, არამედ მოუწოდებდა ბრძოლისაკენ გამარჯვების რწმენით.

დამახასიათებელია ამ მხრივ ლექსები „სიმღერა“, „ზამთარში“, „გმირს“, „გმირის საფლავზე“, „წითელი დროშა გავშალოთ“. ამ ლექსებში ირ. ევდოშვილი უმღერს გარიჟრაჟს, როგორც რევოლუციის ნიშანს („გულს გაზაფხული ეძახის და გარიჟრაჟის წყურვილი“).

მეფის ჯალათებმა 1903 წელს მეტეხის ციხეში მოკლეს დიდი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი, დიდი **სტალინის** პირადი მეგობარი, ირ. ევდოშვილი ამ მკვლელობის გამო წერდა, რომ კეცხოველი მოკლეს, მაგრამ გმირის ადგილას მრავალი გმირი იზრდებაო და მოითხოვდა შურისძიებას: „ჩქარა ბრძოლისა ჩამოვკრათ ზარი“.

1905 წელს, როდესაც მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა გამოვიდა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად, ი. ევდოშვილი ხალხის მხარეზე იყო და ისევ რევოლუციურ ლექსებს წერდა. დამარცხდა რევოლუცია. პოეტი კიდევ განაგრძობდა დიდხანს ბრძოლას. მაგრამ შემდგომ, როცა გაძლიერდა მუშათა მოძრაობის შევიწროება, გამეფდა უიმედობა და უმოქმედობა ზოგიერთ ფენებში, სამწუხაროდ, ი. ევდოშვილიც მოყვა ამ ტალღაში. მან დაივიწყა რევოლუციის ინტერესები.

ირ. ევდოშვილის ზოგიერთი ლექსი („წინ, წინ, ძმებო“, „მუშა და მუზა“, „ქარიშხალი“ და სხვ.),

ირ. ევდოშვილი (ზის), მწერალი ი. ეკალაძე და შიო მღვიმელი.

შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოებში. ირ. ევდოშვილი ბავშვებისათვის ადვილად გასაგები, სადა და სასიამოვნო ენით წერდა მოთხრობებსა და ლექსებს.

თავის საბავშო ნაწარმოებებში ი. ევდოშვილი განსაკუთრებულად აღწერს ბავშვების სიხარულისა და მხიარულების სურათებს. ის ცდილობს ბავშვს შეაყვაროს ბუნება, ჩანერგოს მასში მხიარულება, იმედიანობა, ხალისიანობა. ამიტომ ის არ კიცხავს ბავშვებს ცელქობისათვისაც, თუ რომ ეს ცელქობა ბავშვური სილაღისა და ხალისიანობის გამოხატულებაა.

აღსანიშნავია ამ მხრივ მისი მოთხრობები, სადაც სხვადასხვა სასაცილო ამბებია მოყოლილი. ასეთია მოთხრობა „ქაჯის ბაწარი“, „კალოზე, ბატონო მასწავლებელო“, „აი ჯარავ, ჯარაო“, „რთველი“. შესანიშნავია მისი მოთხრობა „უბედური ქორბუდა“. ამ მოთხრობაში ირ. ევდოშვილი აღწერს ირმების თავვადასავალს, რომელთაგანაც ერთს მოკლავს მონადირე, მეორე კი დაეხეტება ტყე-ველად და მოთქვამს თავისი მეგობრის „ქორბუდას“ ბედს.

მოთხრობებზე არა ნაკლებ საინტერესოა ი. ევდოშვილის საბავშო ლექსები. ეს ლექსებია: „თოვლაობა“, „ვანო და თამრო“, „ზამთარი“,

„გაზაფხულის პირი“, „ჩანს, გაზაფხულის პირია“, „ჰერი, ჰერი“, „შალვას დილა“, „მინდორზე“, „მერცხლის გამომშვიდობება“, „ტურა, მელა და ბებია“ და სხვა მრავალი.

აი ლექსი „შალვას დილა“, ამ ლექსში პოეტი მოგვითხრობს შალვას სიხარულს ბუნებასთან ერთად.

„ხტის მწყერჩიტა
და შალვამაც ბალახებში
უცებ თვალი გააჭყიტა.
„დახე, დახე, — ფიქრობს შალვა, —
ბელურაც კი წამომდგარა
და მერცხალი ჭიკჭიკ-ლხენით
ცაში ფრინავს წარამარა!
მოიცადეთ, მეგობრებო,
ვითამაშოთ ყველამ ერთად,
მეც მინდა, რომ ფრთები მქონდეს
ლაჟვარდი ცის გასაკვეთად“.

შალვას სურვილს ფრინველები სიამოვნებით ეგებებიან, ამიტომ

„მათთან ერთად მღერის შალვაც,
მათთან ერთად შალვაც ტკბება
და მაისის ტურფა დილას
შალვაც მათთან ეგებება“.

აქვს ი. ევდოშვილს ლექსები, სადაც მარტო ბუნების სურათებია მოცემული, მაგალითად, „გაზაფხულის მოსვლა“, „მერცხლის საშემოდგომო გაფრენა“. ევდოშვილი არ ივიწყებს სკოლასაც. აი ლექსი „ვანო და თამრო“.

ვანო დღეს პირველად მიდის სკოლაში, მაგრამ სკოლაში წასვლა აიჩემა პატარა თამროსაც. ვანო ამშვიდებს და ჰპირდება, როცა დრო მოგვა, წაგიყვან და სკოლის გზას გაჩვენებო. მშვენიერია ლექსი „ჰერი, ჰერი“.

„მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი,
აბა, ბიჭო, ტანთ ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!
სამუშაოდ ეშურეპა
დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი,
აბა მარდად ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ ჰერი, ჰერი“.

თავის საბავშო ლექსებს და მოთხრობებს ი. ევდოშვილი ათავსებდა მაშინდელ ჟურნალ „ნაკადულში“. ის ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი იყო.

ი. ევდოშვილი ქლექით გარდაიცვალა 1916 წელს. ის მეფის მთავრობამ ერთ დროს გადაასახლა ციმბირში, სადაც პოეტი გაცივდა და ავადმყოფობა შეიძინა. ი. ევდოშვილს ძალზე უყვარდა ბავშვები, ამიტომ განსაკუთრებული სიყვარულით წერდა მათთვის. მის ლექსებს და მოთხრობებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, და მათ სიამოვნებით წაიკითხავს ჩვენი დროის ნორჩი თაობა.

ევდოშვილი ბავშვებთან

ბიოლოგი კაჭახიძე

გამოვიდა დიდ სცენაზე,
ულიმოდა სახე მკრთალი,
შეისწორა თმა და გრძნობით
გადაავლო დარბაზს თვალი.
იქ ძლიერად ქუხდა ტაში
და არ შეწყდა იგი დიდხანს.
ბოლოს დაცხრა, და პოეტმაც
რიხით ლექსი წაიკითხა.
რა ერთს მორჩა, სხვა დაიწყო,
არ უგრძვნია მკერდის დაღლა.
ის ხატავდა ბავშვის ფიქრებს,
გაზაფხულის მზეს და ბალნარს.
იტაცებდა ყველას მისი
ხმის ძალა და ხელის გაშლა, —
და დარბაზშიც შემდეგ კიდევ
იგრიალა ბევრჯერ ტაშმა.
ყვავილები ბლომად უძღვნეს,
შრიალებდა სცენის ფარდაც...
ის სალამო, ჟრიამული
ქუთაისში ზეიმს ჰგავდა.
ღამით ცირას, აღელვებულს,
დიდხანს გაჰყვა გულის ძგერა,
და დილისთვის იმ კუდრაჭას
ნაზი ლექსიც დაეწერა.
თბილ და მოკლე სტრიქონებით
გამოეთქვა მგოსნის ქება,
მოხდენილად თქმული აზრი,
ბავშვის გულში რომ არ ქრება.
სუფვილი და ჩუმი ნატვრა
შვილს გაუგო კარგმა დედამ,
მორთო იგი და სადილზე
ძია პოეტს შეახვედრა.
სტუმრის გულის მოსაგებად
წაიკითხა ლექსი ცირამ,
აჟღურტულდა და პოეტი
გაახარა, გააცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

ლადო გეგეჭკორი

1905 წლის რევოლუციის შემდეგ რეაქცია უფრო გამძაფრდა. თვითმპყრობელობა სასტიკად სდევნიდა რევოლუციონერებსა და მოწინავე ადამიანებს. რევოლუციონერ მწერლებს ხშირად აპატიმრებდნენ. საკმაო იყო გაკვრით შეხებოდა მწერალი გლეხთა და მუშათა ჩაგრულ, აუტანელ ცხოვრებას, რომ იგი მაშინვე დაეპატიმრებიათ.

ჩვენი ბავშვების საყვარელი მწერალი აკაკი წერეთელი ერთ მშვენიერ დღეს პოლიციამ მეტეხში წაიყვანა ჟურნალში დაბეჭდილი მასალის გამო.

იმ ხანებში ყველაზე მეტად სდევნიდნენ მწერალ ირაოდიონ ევდოშვილს. ის არ-ერთხელ მჯდარა ციხეში თავისი მოა თხრობებისა და ლექსების გამო.

ირ ევდოშვილი ძალიან ბევრსა წერდა ბავშვებისათვის. ძველ საბავშო ჟურნალებში — „ჯიჯილსა“ და „ნაკადულში“ მრავლად არის გაბნეული მისი სხარტად, საბავშო ენით დაწერილი მოთხრობები და ლექსები იგი ძალიან მოხერხებულად ატარებდა მოწინავე აზრებს ლექსებში და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ყველას.

იმ ხანებში გასამრჯელო მწერალს იშვიათად თუ ეძლეოდა.

ასე იყო წინათ. ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, მწერალს ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი ღრმა და წესიერი მუშაობისათვის.

ირ. ევდოშვილი რედაქციებში მუშაობდა მუდმივ თანამშრომლად და ამით ძლივს ახერხებდა ცოლშვილის რჩენას.

განუწყვეტელმა დევნამ და ციხეებში ხშირად ჯდომამ ძალზე შელახა მისი, ისე დაც სუსტი, ჯანმრთელობა.

1911 წლიდან მის ჯანმრთელობას საგრძნობი გაუარესება დაეტყო; ყოველ ზაფხულობით აგარაკზე უნდა წასულიყო, საამისო საშუალება კი მას არ მოეპოებოდა,

სამი წელიწადი პეტერბურგში (დღევანდელი ლენინგრადი) ნამყოფ სტუდენტს, მეც მეჭირვებოდა აგარაკზე წასვლა. ამიტომ 1913 წლის ივლისში აგარაკ აბასთუმნისკენ გავუდექი გზას. ბორჯომიდან წაღვერისაკენ გავუხვიე, მინდოდა ირ ევდოშვილის ჯანმრთელობა გამეგო.

მატარებელმა ქშენითა და ქოქინით ამიყვანა წაღვერში. დილა იყო ლამაზი, მზიანი, მეტად ლაღი, მომხიბვლელი წაღვერის ფიჭვნარი თავის დამათრობელ სუნს უხვად აბნევდა ჰაერში. შვება ვიგრძენ და სიხალისე.

ირ. ევდოშკილი აივანზე იჯდა მოთენთილი, ავადმყოფი; დილის სუფთა ჰაერს უხვად ეწაფებოდა.

— როგორც ჩანს, დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, — მითხრა მან, — ექიმები უიმედობით განიმსჭვალნენ.

— გულს ნუ გატეხ, მხნედ იყავ, აგარაკი გაგაჯანსაღებს; მეგობრებიც მოგეშველებიან, ვეცდებით კალამი ხელიდან არ გაგაგდებინოთ, — დავაიმედე პოეტი.

ცოტა ხანს დავრჩი მასთან და ისევ ბორ-

ქუთაისში ევდოშვილის საღამოზე 7 წლის გოგუცა კუპრაშვილმა წაუკითხა პოეტს ლექსი „სალამი“.

ჯომს გავემგზავრე, რომ იქედან აბასთუმანს წავსულიყავ.

75 კილომეტრი გზა გავიარე ავტომობილით. მომხიბვლელია ბორჯომის ხეობა თავისი სილამაზით.

შესანიშნავი აგარაკია აბასთუმანი: ცად აზიდული მთები, ასწლოვანი ფიჭვები, რბილი, ნაზი, მოალერსე მთის ჰაერი და მომხიბვლელი ბუნება ატყვევებს ადამიანს, ახალისებს, აჯანმრთელებს, სიცოცხლეს ანიჭებს.

ყოველი მხრიდან იყვნენ მოაგარაკეები. ჩემს გარდა აქ კიდევ სხვა მრავალი სტუდენტი ისვენებდა პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კიევიდან. ერთ დილით, ფიჭვნარში სეირნობის დროს, სტუდენტებმა გადავწყვიტეთ სალამო მოგვეწყო. მცირედი თათბირის შემდეგ დავადგინეთ სალამოს შემოსავალი ავადმყოფ მწერლის ირ. ევდოშვილისათვის გაგვეგზავნა.

საქმეს ენერგიულად შევუდექით, მოვამზადეთ ორი პატარა პიესა და სამხატვრო განყოფილება. ამ განყოფილებაში უნდა წაგვეკითხა ირ. ევდოშვილისა და მისდამი მიძღვნილი ლექსები; უკანასკნელთა დაწერა მე დამევალა.

სალამო კარგად ჩატარდა; ორი ლექსი ვუძღვენი პოეტ ევდოშვილს, ერთი (დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში") მე თვითონ წავიკითხე, მეორე (დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულში" 1913 წ. №1) წავაკითხე ათი წლის ბავშვს ვასიკო ჭეიშვილს.

აი ეს ლექსი:

ს ა ლ ა მ ი

ნამდვილ სალამს, სალამს წრფელსა,
ამ გულიდან მოწყვეტილსა,
მე, პატარა, ვუძღვნი მგოსანს
ირაოდიონ ევდოშვილსა!

მისი ლექსი მე მრავალჯერ
წამიკითხავს „ნაკადულში"
და ყოველთვის სასოება
ღრმად მიგვრძნია ხოლმე გულში!

სალამოს შემოსავალი, 107 მანეთი, წაღვერში გადავუგზავნეთ ავადმყოფ პოეტს; ამის შესახებ ცნობა მოთავსდა გაზეთ „სახალხო საქმეში". ეს თანხა მაშინ პოეტს აგარაკზე ორ თვეს ეყოფოდა.

პოეტი რამოდენიმედ მოჯობინდა. მას 1914–15 წლებში ქუთაისსა და სხვა ქალაქებში გაუმართეს პატარა იუბილე, ვგონებ, ოცი წლის სამწერლო მოღვაწეობისა. ქუთაისში მას ზემოხსენებული ლექსით მიმართა ერთმა ბავშვმა.

მიმქრალი

დიდი არის ჩემი ბურთი,
დიდი, ვებერთელა;
ოთხი ციდა მუცელი აქვს,
ჩემი მკლავის ხელა!
თითს დავადებ, — ავარდება,
გაგორდება როგორ!

გუშინ თავი გაუტეხა
მეეზოვის გოგოს.
გამოვარდა დედამისი
ვაით, ვუით, ჰაით...
— დაიცადე, აბეზარო,
რომ გარბიხარ, საით?!

ამაგლიჯეს ჩემი ბურთი,
დაახლეს მიწას.
მაგრამ, იცით? როგორც გიჟი
წამოვარდა იმ წამს!
გადმოგორდა, დაეძგერა
დიდი ფანჯრის მინას
და ზედ ცხვირზე დაასკუპდა
იქ დედაბერს მძინარს.
წამოვარდა დედაბერი:
„ქურდი, ქურდი, ქურდი“...
ქურდის ნაცვლად ხელში შერჩა
ჩემი კოხტა ბურთი.
აკაპასდა დედაბერი
ჯოხს წაავლო ხელი,
გავიქეცი... გამომიდგა
გინებით და წყევლით.
მომაძახა: „გასკდი გულზე,
ბურთს არ მოგცემ, არა!
ჩემს კარებთან აღარ გნახო,
გაეთრიე, კმარა!“
რა ვქნა, ვდგავარ ამ კიბეზე
დაღებული პირით.
მთელი ეზო მე დამცინის,
ყველა ჩემზე ყვირის...
იქ ოჯახში ჩემი ბურთის
ისმის ფართიფურთი.
ჩემი ბურთი, ჩემი ბურთი,
ჩემი კოხტა ბურთი!



გაბრიელ გოგუაძე

— ჩამიმწარდა და ჩამიშხამდა სიბერის დღეები! — ბუტბუტებდა ბაბუა ჭოტი და თავს აბრალებდა მეზობელ ბუს.

— ვაი ჩვენი გაჩენის ბრალი! — კრუსუნებდა ბუ.

— რა მოხდა?

გაიჩეხა და ამოიდაგა გაუვალი ჯაგ-ეკლნარი. გაიკაფა, განათდა და ადამიანის თავისუფალი შრომის ხმით გამოცოცხლდა მიუვალი ადგილები, მთები და ბორცვები, კლდეები და ხრამები. გაქრა ჭაობები და აუღებელი გვიმრალები. ჩაის თვალუწვდენელი ხავერდით აბიბინდა და მანდარინ-ფორთოხლის ოქროთი გადაყვითლდა მთაბარი. მრავალი ფაბრიკის საყვირით შეიცვალა ტურების კივილი.

აღარ აქვს ბაბუა ჭოტს მყუდრო ბინა! ბევრი ეძება ყრუ და ბნელი ადგილი, მაგრამ ამაოდ, გადასახლდა. საცოდავად იმალებოდა დღისით. შიმშილობდა და ღამით ფრინავდა.

მიმავალს თვალი მოჰკრეს ჩიტებმა.

— ისე გადაიკარგე, რომ არ გნახოს ჩვენმა თვალებმა!

— წინ წყალი, უკან მეწყერი!

— გზად შეგხვდა შენი შემქმელი!

ასე უსურვეს ჩიტებმა, რომელთაც ბაბუა ჭოტის ვერაგობისაგან დიდი სევდა და ბოლმა აწვათ გულზე.

— ვაი შენს საქმეს, ვა-ი, ვა-ი! — მიაძახა მინღვრად ადრე გამოსულმა ყვავმა-ყვანჩალამ. ამასაც ვერ მოენელებია ბუდიდან ბაბალების მოტაცება.

როგორც იყო, შორეული მთის ძირას იპოვა ბაბუა ჭოტმა მიბნელებული ადგილი და დაბინავდა უცნაურად დაგრეხილი უზარმაზარი მუხის დატოტიანებულ კენწეროზე. მთელი დღე

იჯდა ერთ ადგილზე, თითქოს დასობილი, ყურები გადაეწყო, ყვითელი ბრიალა თვალები თითქმის მთლად დაეხუჭა, მოკაუჭებული ნისკარტი ჩამოეშვა, იჯდა და თვლემდა, შიმშილისაგან ფართოდ ამთქნარებდა.

შებინდებისას გამოფხიზლდა, გაიფხორა და სხეული გაირეკა, ფრთები დაიბერტყა და გაისწორა, მრგვალი თვალები აანთო, როგორც ღამის ფარანი, გამოფრინდა და წამოჯდა წაბლის როკზე.

—ვიუ-ჰო! — პირველად გასძახა თავისუფლად მთის კალთებს. დიდხანს გუგუნებდა გამოძახილი მთის ღარებში, კლდეებსა და ხრამებში.

— ჭიღუ-ჭიღუ... რ-რ-რ-რ-უ-რ-რ-რ-რ, — შორიდან გამოეხმაურა ასიდამა, ღამის დინჯი ფრინველი.

ვერაფერი სანადირო აღმოჩნდა ახალი ადგილი. რამდენიმე ღამეს ენაგამოგდებული დაფრიალობს ბაბუა ჭოტი, მაგრამ საყოფი და გემრიელი საკბილო ხელთ ვერ იგდო: ერთი გამხდარი ჩხიკვი და რამდენიმე წრუწუნა — ეს იყო და ეს.

—ეჰ, მსუქანო დედლებო და მხდალო კურდღლებო! — გულდაწყვეტით იგონებდა წარსულს

შიმშილისაგან მიბნედილმა ტყის ძოგვიანებული ბალიც იკადრა და ფათერაკს წააწყდა: ბალზე აცოცებულ ყელყვითელა კვერნას შეუტია, მო-

ტაცება მოუნდომა, მაგრამ თვალის დახამხამებაში — წვეტიანი კბილები საშინლად ემწვავა ფრთაში და თავლაფდასხმულმა ძლივს დააღწია თავი ხიფათს. ამის შემდეგ ორი დღე-ღამე ფრთებჩამოყრილმა იკვნესა მუხის კენწეროზე და აღარ დააძინა მეზობლები — მუხის ფუღუროში დაბინავებული ციყვების ოჯახი.

— ბებრუხანა, რა ამბავია, რომ კრუსუსით აგვიკლე და ჩვენს ციყვუნიებს ძილი არ მიაკარე — შესჩივლა დედა-ციყვმა.

— გამიკითხე, შენი შვილების გაზრდას, ორიოდე რკო ან კაკალი ამომიტანე, პირი გავისველო! — მოიკატუნა თავი და ყოველი შემთხვევისათვის მოიმარჯვა კლანჭები.

— ვიცით, რა ნამუსის პატრონიც ბრძანდები! ჩემს უმცროსს ციყვუნიას ჯერაც არ მოშუშებია შენი კლანჭების კვალი, ფუღუროდან რომ კინაღამ გაითრიე... რკოს კი არა გადაურჩენელ თავისტკივილს გამოგიგზავნი.

— როდის იქნება გადაშავდე აქედან: შენი შიშით ცხვირი ვერ გამოგვიყვია გარეთ! — შეუტევნეს პატარა ციყვებმა.

ერთ წვიმიან დღეს, ჯერ კიდევ არც კი გათენებულიყო, უნაყოფო ნადირობიდან ბრუნდებოდა ბაბუა ჭოტი და ღელის პირად აყუდებულ ლოდზე წამოჯდა ბაყაყების სათვალთვალოდ. ხედავს — ამოწკუმპლული ბერი ტურა მოწანწალობს ღელის პირდაპირ და უკან სამი გამხდარი პატარა ტურუკა მოსდევს. ჩამოჯდნენ ტურები, დაისვენეს, დაიყეფ-დაიწკმუტუნეს ლეკვებმა, უსაყვედურეს დედას შიმშილი.

— რა გაეწყობა, ჩემო წუწკებო! აქ გადმოსახლებამდე მობეზრებული გვქონდა ქათამი, იხვი, ბატი, ინდაურები და რძის გოჭები, ახლა კი... — ვეღარ დაამთავრა ბერმა ტურამ.

— აბა ჩვენ რა დავაშავეთ, ხვლიკებით რომ გამოგვაცალე სინსილა? — ჩაიჩურჩულა ყველაზე პატარა, გამხდარმა ლეკვმა.

— არ გვინდა მმიერი ჯურღმული, გავსწიოთ იმ ბედნიერ ქვეყანაში! — შეჰკივლეს ლეკვებმა და ცქვიტეს ყურები, აბა რას იტყვის დედაო.

— ადამიანისათვის ბედნიერია და ჩვენთვის ჯოჯოხეთის ქვეყანა: აბა სად ეცხოვრება ტურებს იქ, სადაც ბარდ-გვიმრალა მოისპო და ნათესნარგავებით შეიმოსა ყველაფერი, სადაც ღამის სიბნელე დღესავით განათდა, ტურის ბილიკები

ფართო გზატკეცილებით შეიცვალა, სადაც წამისწამ დაქრის ის გიჟი ცეცხლთვალა და ყირყილით აფრთხობს ყველაფერს... გადაგვიხადა ადამიანმა, ისე გვიმტრო, რომ ტურის ენით არცკი გამოითქმება! — თქვა ბერმა ტურამ და აანთო გაბოროტებული თვალები.

— ის ყოფილა, გუშინღამ მთიდან ვარსკვლავებით მოფენილ ქვეყანას რომ გადავხედეთ. რა კარგია! ნეტავი იქ გვამყოფა! — ინატრეს ლეკვებმა.

— ჩემო ბრიყვებო, ერიდეთ უბედურებას, ვხედავ, მე მ.ლე აღარ გეყოლებით: მუხლები მომკვეთა შიმშილმა და სიბერემ, აბა მსუქანი დ დ-ლების დარდმა ხომ სულ გამომილია არაქათი. გახსოვდეთ ჩემი ანდერძი: მოიშველიეთ ტურები, ჩუმად წამიღეთ და სადმე საქათმის მახლობლად დამმარხეთ, თავი პირდაპირ საქათმისაკენ დამიდეთ. ახლა კი სოროსაკენ წავიდეთ, სანამ მთლად არ გათენებულა, — თქვა დედა-ტურამ და გაუდგა გზას. ზანტად გაჰყვნენ ლეკვები.

ცოტათი გული დაუმშვიდდა ბაბუა ქოტს.

— კიდევ კარგი, რომ მარტო მე არ ვყოფილვარ გადმოსახლებული და გაუბედურებული, — ჩაილაპარაკა და გაისწორა ფრთები, რომ დასცემოდა ჩამორჩენილ პატარა ტურუკას, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა საიდანღაც წყლის დასალ.ევად ჩამოცუნცულებულ ბაჭიას და... გააქანა მუხის კენწეროსაკენ.

ახალი ბინაც არ აღმოჩნდა მშვიდობიანი. აქაც დაუწყეს ბაბუა ქოტს თავდასხმა და შეწუხება. ერთ დღეს კინაღამ გაუხეთქა გული გუგულმა: შემოჯდა მუხის ობლად აშვერილ ხმელ ტოტზე, პირდაპირ წამოადგა თავზე ბაბუა ქოტს და თავისებურად გასძახა:

— კა-ფე, კა-ფე!

— ხომ არ შეიშალე, შე მეტიჩარავ! — შეუტია ქოტმა: — სადაც გაკაფეს და გამაუბედურეს, ის არ მეყოფა, რომ აქაც ეძახი საკაფავად?!

— შენისთანა მახინჯი და ბოროტი სულ არ უნდა იყოს ქვეყანაზე — ვერ ხედავ, როგორ გაგისისხლიანებია და გაგიბუმბლავს ყველაფერი გარშემო? უჰ, საზიზღარი, სისხლის მსმელი! — გადმოუთვალა გუგულმა.

— მაგას ვიცნობთ, რაც არის, მაგრამ არც შენ ხარ პატიოსანი, — წაუდგა პირში. გუგულს წიფლის წვეროზე წამომჯდარი სკვინჩა:

— შენ არ იყავი, რომ ბუდეში კვერცხ[illegible] მომაპარე, შენი გაუმაძღარი ბარტყის ძიძა გამხადე და ჩემი შვილები დამიღუპე!

— რამდენი საწყალი ჩიტი აუტირებიათ მაგ ზარმაცებს! — ამოიკვნესა ჩაბნელებული წყავნარიდან დინჯმა ყელწითელამ: — თავისი შვილების გაზრდაც კი ეზარებათ და სხვებს აწვ.ლებენ.

— მე მიწუნებს, მლანძღავს და გაკაფვით მაშინებს. ნახე, თითონ როგორი ყაჩაღი და გაიძვერა ყოფილა! — ჩაილუღლუღა ბაბუა ქოტმა და ისევ მიეცა თვლემას. ცოტა ხანი გავიდა და საშინლად ემწვავა თვალებში — ჩაუხორთუმა ვილაცამ.

— ვინა ხარ, რომ არ მასვენებ?

ნემსივით წვრილი ბზუილი იდგა გარშემო.

— კოღოები ვართ, კოღოები, გვშია!

— გშიათ! ჭირიც გიჭამიათ! მერე, მე რა შუაში ვარ?!

— იმ შუაში, ბაბუ, რომ ცოტა სისხლი უნდა გვინაწილო. შენ ხომ სხვისი ბევრი შეგიყლაპავს.

— გამშორდით მეთქი, თავხედებო! საიდან გამოზლვავდით ამდენი?!

— შორიდან მოვფრინავთ, შორიდან. ხელიდან დაგვცანცლეს საუკუნოებით ჩვენი სამკვიდრებელი, ჩვენი მამულ-დედული — კოლხეთის დიდი ჭაობი. აშრობენ, ბაღებს აშენებენ... აგვიკლეს, აგვაწიოკეს ჩვენ, ბაყაყები, წურბელები, გველები.

— ჩემი ბედის მოზიარენი ყოფილან, — გაიფიქრა ბაბუა ქოტმა და იამა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია, ბუზი და წიწილა

ილია სიხარულიძე

მზია რძეს სვამს, ერთი ბუზი
არ შორდება, იქვე უზის;
მიცოცდება თეფშთან ახლოს,
რომ მზიას პურს თათი ახლოს,

ანდა რძეში ჩაყოს ცხვირი...
აქშა! აქშა! — მზია ყვირის.
სად მოდიხარ, სად მოცოცავ?
ვინ რა იცის, სად დაწოწავ!
აქშა! აქშა! აიბარგე!
გამეცალე, გადიკარგე!
მაგრამ ბუზი აფრინდება
და ისევ იქ მოფრინდება.
წავა, მოვა, მოვა, წავა,
საქმე სულ მთლად გაამწვავა.
ბზზზ! — დააჯდა მზიას შუბლზე,
მზია სკდება ბრაზით გულზე,

„ტკაც!“ — მოირტყა შუბლზე ხელი,
რომ მოეკლა საძაგელი.
და ეგონა მოკლა, მაგრამ
ბუზი ისევ სადღაც გაქრა.

— ეჰ, ჯანდაბას! — ამბობს მზია,
მე რძეს დავლევ, ძლიერ მშია,
ოღონდ თავი დამანებოს
და წაშავდეს, სად ენებოს!

და შენიშნა მზიამ ბოლოს,
რომ ბუზი ზის სუფრის ბოლოს:
წელან რძე რომ დაეწვეთა,
ბუზმა ნახა და ეკვეთა.
ტკბილი რძეა მისი ლხენა,
გამოძღა და მოისვენა.
მზია რძეს სვამს,
უცქერს თანა,

ბუზმა იწყო პირის ბანა,
თათებს ნერწყვავს და ასველებს,
ერთმანეთზე უსვამს ხელებს.
გაიწმინდა ბუზმა პირი,
გაიხეხა ბუზმა ცხვირი,
და იმდენი ხეხა, ხეხა,
რომ კინაღამ მოიტეხა.
შემდეგ იწყო თავის ფხანა,
ისე მაგრად მოიფხანა,
ისე მაგრად, ისე სწრაფად,
რომ კისერი ექცა ძაფად:
თავი ხეხა ისე ცქვიტად,
ისე სწრაფად, ისე ცქვიტად,
რომ კინაღამ მოიწყვიტა.
ამის შემდეგ ბუზმა ხელად
უკან ფეხი დაიგრძელა,
ფრთებს გაუსვა, გაასწორა,
ჰუჰყი, -მტვერი მოიშორა,
ფრთები გახდა სიფრიფანა,
შიგ სინათლემ გაატანა;
თქვა: „მეყოფა, რაც ვიანცე,

დავილალე, დავიქანცე!“
ფრთა გაშალა: „ბზზზ“! გაფრინდა
და სუფრიდან ძირს ჩაფრინდა
მაძღარი და კმაყოფილი,
მზეზე იწყო თვლემა ტკბილი.
ამ დროს გაჩნდა იქ წიწილა,
ფუნჩულა და ხმაწინწილა,
წამოვიდა ჩუმად, ფრთხილად,
ჩვენს ბზუილას მიეპარა
და ნისკარტი ჩაუფარა,
დაიჭირა, გადაყლაპა
და წიწინი კვლავ გაბა.
მზიამ რა ეს დაინახა,
გაეცინა: „ხა, ხა, ხა, ხა!“
თქვა: „წიწილა, ხმაწინწილა,
რა ყოფილა, რა ყოფილა!

„თავიც დაიკმაყოფილა
და ბზუილაც მომაცილა!“
ეს წიწილმა გაიგონა
და ძალიან მოეწონა:
გაიწია, აიწია,
დაიძახა „წია! — წია!“
და ამაყად წინ გასწია.

მოლაპარაკე ლითონის ადამიანი

ალ. კოჩლავაშვილი

(დასასრული)[1]

თვით მეფეც კი გაოცდა, ხოლო ზოგიერთმა იქ დამსწრემ, რომელთაც შეეშინდათ, პიერ დროს საათი ჯადოქრობად მონათლა. ცოტა არ იყოს, თვით პიერიც შეკრთა წამოყენებული ბრალდებისა და მოსალოდნელი მკაცრი შედეგების გამო. ის არ დაიბნა და მაშინვე მეფეს მოსთხოვა ინკვიზიტორთა [2]) მეთაურის გამოწვევა თავისი გამოგონების შესამოწმებლად. ეს მეტად მოფიქრებული ხერხი იყო.

ინკვიზიტორი მყისვე გამოცხადდა. პიერმა დაწვრილებით აუხსნა, და ინკვიზიტორი იძულებული გახდა განეცხადებია, რომ პიერის საათში არავითარ ჯადოქრობას არა აქვს ადგილი.

მეფემ შეიძინა საათი.

წარმატებით გახარებული პიერი შინ დაბრუნდა. ამ პირველმა შედეგებმა პიერი იმდენად გაათამამა, რომ თავში ოდესღაც ნაპერწკლებად ჩასახული აზრი მოსვენებას არ აძლევდა. ეს აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მას უნდოდა გამოეგონა ადამიანის მსგავსი მექანიზმი, რომელსაც ადამიანისებური სიარული შეეძლებოდა. როგორც ხედავთ, პიერმა ძნელად შესასრულებელი რამ განიზრახა — ლითონის მოძრავი ადამიანის გამოგონება.

პიერი გულმოდგინედ და თავდავიწყებით შეუდგა თავისი ოცნების განხორციელებას. ოც თვეზე მეტი მოანდომა ამ მეტად მძიმე გამოგონებაზე მუშაობას. ხშირად პიერი ღამე მუშაობდა, არა ელექტროს შუქზე, როგორც ახლა ჩვენ გვაქვს, არამედ ქონის სანთურზე. ბოლოს, 1770 წლის, გაზაფხულზე, ქვეყნად გამოჩნდა პირველი მექანიკური, ე, ი. ლითონისაგან დამზადებული, ადამიანი. ამ პირველ ადამიანს წერა შეეძლო და ამიტომ მას „მწერალს" უწოდებდნენ.

როცა პიერ დრო ამ გამოგონებაზე მუშაობდა, მას თვალყურს ადევნებდა მისი თექვსმეტი წლის ვაჟიშვილი ანრი დრო. ამ ყმაწვილზე მამისაგან მემკვიდრეობით გადმოვიდა უდიდესად დიდი ინტერესი და განსაკუთრებული მოხერხებულობა მექანიკის დარგში და სამი წლის შემდეგ თვით შეუდგა ახალი მექანიკური ადამიანის გამოგონებას, რომელსაც ხატვა შეეძლებოდა.

ეს გამოგონება უფრო სწრაფად წავიდა, რადგან აქ წინა გამოცდილება ეხმარებოდა მათ. ერთი წლის განმავლობაში მექანიკური მხატვარი მზად იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი შეუდგნენ მომღერალი მექანიკური ადამიანის გამოგონებას და მალე ისიც გამოიგონეს.

რა შთაბეჭდილება მოახდინეს ლითონის ადამიანებმა ნამდვილ ადამიანებზე?

ამ მეტად საოცარმა გამოგონებამ მთელი ქვეყანა აალაპარაკა. ზოგი დარწმუნდა მექანიკური ადამიანის არსებობაში, ზოგი ისევ ეჭვებით იყო

მექანიკური მხატვრის ნახატი. ნახატზე გამოსახულია საფრანგეთის მეფის ლუდოვიკ XV თავი.

---

[1]) დასაწყისი იხ. ჟურნ. „ოქტომბრელის" № 5-ში.

[2]) ინკვიზიცია ერქვა საეკლესიო სასამართლოს, რომელიც სასტიკად სჯიდა ეკლესიისათვის მავნე პირებს. ინკვიზიტორი ერქვა საინკვიზიტორო სასამართლოს წევრს. ინკვიზიცია დაწესდა მე-12 საუკ. გასულს და მოისპო მე-19 საუკ. დასაწყისში.

შეპყრობილი და სასაცილოდ არ ყოფნიდა ეს ახალი ამბავი.

ქვეყნის ყველა კუთხეში გაიგებდით ასეთ საუბარს:

— გაიგეთ? შვეიცარიაში საათის რომელიღაც ხელოსანს გამოუგონია ისეთი მექანიკური ადამიანი, რომელსაც წერა შეუძლია!

— როგორ არა, გავიგეთ! და იცით რა, იმავე გამომგონებლის შვილს გაუკეთებია ახალი მექანიკური ადამიანი, რომელსაც ხატვა შეუძლია!

პიერ და ანრი დროს გამოგონება საერთო გაოცებასა და ინტერესს იწვევდა. ყველა მიილტვოდა ეს ზღაპრული ამბავი საკუთარი თვალით ენახა. მოდიოდნენ არა მარტო მეზობელი სოფლიდან, არამედ შორეული ქალაქებიდან, შორეული მხარეებიდან. უნდა იცოდეთ, ბავშვებო, რომ მაშინ მგზავრობა, და ისიც შორეულ ქვეყნებში, არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგან არ იყო რკინისგზა და არც ავტობუსი, რომლითაც სავსეა ახლა ჩვენი ქალაქები. როგორც უახლოესი, ისე შორეული მგზავრობა შეიძლებოდა ან ცხენით, ან საკუთარი ორი ფეხით. მგზავრობის სირთულე არ აშინებდა ადამიანს თავისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, და შო-დე-ფონი გადაიქცა შორეული ქვეყნებიდან წამოსული ადამიანების სასტუმროდ.



A sa ville natale
Jaquet Droz

მექანიკური მწერლის წერილის ნიმუში.
ფრაზა დაწერილია ფრანგულად და ნიშნავს:
„ჩემს მშობლიურ ქალაქს. ჟაკე დრო“.

1774 წელს პიერ დრომ თავისი გამოგონება პარიზის უდიდეს გამოფენაზე გამოიტანა. „მწერლისა“ და „მხატვრის“ გარდა წარმოდგენილი იყო მუსიკოსი ქალი, ისიც ლითონისაგან დამზადებული. მაყურებელი აღფრთოვანებაში მოჰყავდა სანახაობას.

„მწერალი“ წარმოადგენდა 5 წლის ბავშვის განსახიერებას; იჯდა იგი მაგიდასთან სავარძელში, მარჯვენა ხელში ეკავა ბატის ფრთა (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში ფოლადის კალამი, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ). მის წინ იდგა სამელნე, რომელშიაც დროგამოშვებით ჩაყოფდა ფრთას მელნის ასაღებად, და წერდა — სიტყვას დასხვას სიტყვას და თითქმის მთელ წინადადებასაც ადამიანის დაუხმარებლად. ასოებს წერდა მსხვილად, ლამაზად, სწორხაზობრივად. სიტყვებს შორის მანძილს ტოვებდა, როგორც წესია.

წერის დროს „მწერალი“ თავს ისე ამოძრავებდა, თითქოს თვალყურს ადევნებდა იმას, რასაც წერდა. მუშაობის დამთავრებისას ქაღალდზე სილას აფენდა მელნის ასაშრობად, შემდეგ შეფერთხავდა.

მეორე მექანიკური ადამიანი იმავე ზომის იყო, როგორც „მწერალი“. მას ფანქარი ეკავა ხელში და სხვადასხვა სახეს ხატავდა. სხვათა შორის, ხატავდა ნელ-ნელა, წყვეტილად, თითქოს რაღაცას უფიქრდებოდა, აკვირდებოდა, ასწორებდა. ზოგჯერ ქაღალდს უბერავდა ქერქლის მოსაშორებლად. ნახატები მშვენიერი იყო.

როგორც ვთქვით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მუსიკოსი ქალიც, იმავე ზომის, როგორც პირველი და მეორე; ის უკრავდა ფისგარმონზე, კლავიშებზე თითების ათამაშებით. მშვენიერი მუსიკალური შემოქმედება გამოდიოდა. იგი თავს და თვალებს ისე ამოძრავებდა, თითქოს ხელების მდგომარეობას ამოწმებდა. მუსიკოსის გული ისე ადი-დადიოდა თითქოს სუნთქავსო. როგორც კი დაამთავრებდა დაკვრას მუსიკოსი მსმენელებს თავაზიანად თავს დაბლა დაუკრავდა მადლობის აღსანიშნავად.

სამივე მექანიკური ადამიანის მოძრაობა იმდენად ბუნებრივი, იმდენად ადამიანური იყო, რომ ბევრ მაყურებელს ნამდვილი ადამიანი ეგონა და მხოლოდ მაშინ, როდესაც პიერ დრო მექანიკურ ადამიანს ზურგს მოხსნიდა, მაყურებელი რწმუნდებოდა, რომ ნამდვილად ტექნიკურ შემოქმედებასთან, მექანიკურ ადამიანთან ჰქონდა საქმე.

პიერ და ანრი დროს მექანიკურ ადამიანებს რამდენიმე ხნის შემდეგ ანდროიდები უწოდეს და დღესაც ლიტერატურაში ასე წერენ. ეს სიტყვა ბერძნულია და ქართულად ნიშნავს ადამიანის მსგავსს.

მოდი, ბავშვებო, ამით დავამთავროთ ჯერჯერობით და ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში გავაგრძელოთ ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალნენ ანდროიდები გამომგონებელთა ხელში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიხარულის თეატრი

ვანო გუნაიძე

სკოლაში შირმა მოიტანეს. გაშალეს და სცენა გაიმართა.

აი აგერ სცენაზე თოჯინები — ძაღლი, ვირი, მამალი, ბავშვები, მოხუცი და ახალგაზრდა — ლაპარაკობენ, მღერიან, ცეკვავენ, ხტუნავენ, ტირიან, იცინიან, წუხან და მხიარულობენ.

მაყურებელი ბავშვები სახეგაბრწყინებულნი, გატაცებით მისჩერებიან ამ საოცარ სანახაობას.

ეს თოჯინები ჩვეულებრივ თოჯინებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ მსახიობები ამოძრავებენ და აკეთებინებენ იმას, რის გაკეთებაც ადამიანს შეუძლია.



ალბათ ყველა ოქტომბრელს უნახავს თოჯინების თეატრის წარმოდგენები, დამტკბარან და ბევრიც უცინიათ თოჯინების მოხდენილ თამაშზე.

თოჯინების თეატრი ორდენოსან საბჭოთა საქართველოს პირმშოა. სულ ორი წელია, რაც ეს ბავშვთა სიხარულის თეატრი იფურჩქნება.

ტფილისში ამ კარგი საქმის წამომწყები არიან მარჯანიშვილის სახელობის თეატრის თანამშრომელი — რეჟისორი გრიშა მიქელაძე, მსახიობი მიხეილ სარაული და პედაგოგი ქსენია ჯუღელი.

არა ნაკლები ამაგი მიუძღვის ამხ. ნინო მახარაძეს. ის მშობლიურ დახმარებას და ზრუნვას არ აკლებს თეატრს.

გასულ წელს სურამში ბავშვთა კოლონიის საზეიმო გახსნაზე თოჯინების თეატრი წარმოდგენების გასამართავად ჩავიდა.

განიზრახეს ამხანაგი დიმიტროვი მოეწვიათ პიესის სანახავად. ამხ. დიმიტროვი დაესწრო თოჯინების თეატრის რამდენიმე პიესას.

თეატრი მარტო ტფილისის ბავშვებისადმი კულტურული სამსახურის გაწევას როდი სჯერდება. იგი ხშირი სტუმარია ქუთაისის, სოხუმის, ცხაკაიას, გორის, თელავის, ბათომის და სხვა რაიონების ბავშვებისა.

„ჭუჭრუტანაში გავძვრები, მაგრამ ჩემსას მაინც გავხდები“, „ლორმუცელა“, „ცაცო“, „თეთრი ფინია“, — აი ამ თეატრის პიესები, რომელიც ორმოციათასმა ბავშვმა ნახა.

ფასი 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირე და კაკაბი

(არაკი)

კლ. თევზაძე

ერთხელ კაკაბი ფრთების ფრთხიალით გაიფრინდა ტყიდან და იქვე შეეხეჩა მონადირე.

— საყვარელო მონადირევ, — უთხრა კაკაბმა, — ნუ მომიკლავ საყვარელ შვილებს. ისინი ყველაზე საუკეთესო ფრინველებია მთელ ტყეში.

მაშინ მონადირემ უპასუხა:

— კარგი, თუ შენი შვილები შემხვდნენ, მათ აუცილებლად შევიბრალებო.

კმაყოფილმა კაკაბმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და სიხარულით გაინავარდა ჰაერში. როცა საღამოს დაბრუნდა კაკაბი და დაინახა მონადირე, რომელსაც ჩანთაში ელაგა პატარა კაკბები, შესძახა:

— სასტიკო, შეუბრალებელო მონადირე! რატომ მომიკალი შვილები?! — და ატირდა, მაგრამ მონადირემ უთხრა:

— შენ ხომ მითხარი, ჩემი შვილები ყველაზე ლამაზებია მთელს ტყეშიო? მე მოვკალი მხოლოდ ეს ულამაზო, ნაცრისფერი ფრინველები.

კაკაბმა კი მოახსენა:

— ნუთუ შენ არ იცი, რომ ყოველ დედას საკუთარი შვილი ყველაზე მეტად მოსწონს?!

ვირთაგვები და ფისო

ორმა ვირთაგვამ ერთი ქათმის კვერცხი იპოვნა. უნდათ წაიღონ, მაგრამ როგორ? გააგორონ — გატყდება, აღება კი არ შეუძლიათ. დაფიქრდნენ ვირთაგვები. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ეს ხერხი მოიგონეს: ერთი დაწვა პირაღმა, კვერცხი გულზე დაიდვა და თათები მაგრა შეკოუჭირა. მეორემ მას კუდზე პირი დაავლო და მარხილივით სორიისკენ წაათრია. ამ დროს საიდანღაც უცებ ფისო გაჩნდა. ელვის სისწრაფით ისკუპა, ვირთაგვებს თავს დაეცა, კვერცხიც დააგდებინა და ორსავე ქათიბიც შემოაფხრიწა.

იას. ნიკოლაიშვილი

რებუსი შედგენილია კლ. თევზაძის მიერ.